



საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების თაობაზე

**ზარდიაანთკარი:**  
**ომის შედეგები და არსებობის სიმძიმე**

2014 წლის დეკემბერი

საქართველოს სახალხო დამცველი  
[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)




\*ანგარიში ითარგმნა და დაიბეჭდა ევროსაბჭოს დახმარებით.

## 1. შესავალი: სოფელ ზარდიაანთკარის მოსახლეობა და მიგრაცია

გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ზარდიაანთკარი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ხაზზე მდებარეობს და ქართულ-ოსური კონფლიქტის ერთგვარ მიკრო სურათს წარმოადგენს. 1990-იანი წლების კონფლიქტამდე აქ ეთნიკურად ოსი და ქართველი მოსახლეობა თანაცხოვრობდა. 1989 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფელ ზარდიაანთკარში 173 ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის უპირატესი ეროვნებით 35% ეთნიკურად ქართველი.<sup>1</sup> საომარი მოქმედებების გამო ოსი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა იძულებული გახდა საცხოვრებელი მიეტოვებინა, თუმცა გარკვეული ნაწილი 1997 წელს დაბრუნდა. მათი სახლები, ვინც არ დაბრუნებულა, დღემდე მიტოვებულია.

2002 წლის საყოველთაო აღწერით კი, სოფელში 117 მოსახლე იყო, აქედან 68% ქართველი, 32% ოსი. 2008 წლის ომის დროს, მოსახლეობის 90-95%-მა სოფელი დატოვა და შიდა ქართლიდან სხვა დევნილების მსგავსად, დროებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადანაწილდა.

დღეისათვის, რთულია ზუსტად დადგენა რამდენი ადამიანი ცხოვრობს სოფელში, რადგან მოსახლეობა ზარდიაანთკარსა და გორს შორის მუდმივად გადაადგილდება. სოფელში დაახლოებით 18 ეთნიკურად ქართული და ექვსი ეთნიკურად ოსი ოჯახი რჩება. სოფლიდან წასული 20 ოჯახი კი გორის საბავშვო ბაღის შენობაში ცხოვრობს.



\*2014 წლისათვის ზარდიაანთკარის მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულია, რადგან მოსახლეობა მუდმივად მიგრირებს. გრაფაში მოცემული რიცხვი არის მიახლოებითი რაოდენობა.

ზარდიაანთკარიდან მიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მთავარი მიზეზები უსაფრთხოების პრობლემა და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია. ოჯახები, რომლებიც ტრადიციულად სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, დღესაც გამოთქვამენ სურვილს განაგრძონ იგივე საქმიანობა, თუმცა

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია. ზარდიაანთკარის მოსახლეობის შესახებ, 1989 წლის აღწერაში მითითებულია მხოლოდ უპირატესი ეროვნების წარმომადგენლების თაობაზე, შესაბამისად ეთნიკურად ოსი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

შესაბამისი პირობების არ ქონის გამო, იძულებულნი არიან მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ დახმარებას დასჯერდნენ და დევნილობაში განაგრძონ ცხოვრება.

## 2. სოფლის უსაფრთხოება და სოციალურ-ეკონომიკური პირობები

მას შემდეგ, რაც 2008 წლის 10 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს შიდა ქართლის ტერიტორია, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილისთვის შესაძლებელი გახდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. თუმცა, სოფელ ზარდიაანთკარში ეს ვერ მოხერხდა, რადგან ქართველმა სამართალდამცავებმა, მიუხედავად იმისა, რომ სოფელზე პრეტენზიას რუსული/ოსური მხარე არ აცხადებდა, ამ ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა ვერ შეძლეს. ამის გამო სოფელი ბუფერულ ზონად იქცა და სრულად გაიძარცვა ქართველი მოსახლეობის სახლები.

ვითარება ზარდიაანთკარში მხოლოდ 2012 წლის გაზაფხულზე შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ქართველმა სამართალდამცავებმა სოფლის დასაწყისში და სოფლის შუაში ორი საგუმაგო განათავსეს. შედეგად, მოსახლეობის ნაწილმა დაბრუნება და სეზონურად, კარ-მიდამოს მოვლა-პატრონობა დაიწყო.

თუმცა, კვლავ არაკონტროლირებად ტერიტორიად რჩება სოფლის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც 6 ოსური ოჯახი ქართულ და რუსულ პოსტებს შორის ცხოვრობს. ისინი უპრობლემოდ გადაადგილდებიან ქართული პოსტების გავლით, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან საუბრისას აცხადებენ, ყველას არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა, რის მიზეზადაც ზოგიერთი მათგანი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან არასათანადო ყურადღებასა და გულგრილობას ასახელებს.

ზოგადად, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სიტუაცია სოფელში სტაბილურია. 2012 წლის შემდეგ ადგილი არ ჰქონია უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სერიოზულ ინციდენტებს. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ზოგადად სოფელში სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდა დაბალია, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული: ხშირად ისმის სროლის ხმა, ქართველ სამართალდამცავები საგუმაგოების მიღმა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას არ იღებენ და ამავე სოფელის ბოლოს განლაგებულია რუსული პოსტი. დამაბული ფონი არა მხოლოდ ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, არამედ სტუმრებისთვისაც საგრძნობია. ამას მოწმობს ისიც, რომ უცნობ ადამიანებთან მათ საუბარი არ სურთ, განსაკუთრებით ერიდებიან კონტაქტს ეთნიკურად ოსი ზარდიაანთკარელები.

ქართველი სამართალდამცავების მიერ კონტროლის აღდგენის შემდეგ ვითარება მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა: სოფელში აღდგა ელექტროენერჯის მიწოდება, დარჩენილი ოჯახების უმრავლესობა სოციალურ დახმარებას იღებს, 2013 წლის ზამთარში, სოფელში დარჩენილ მოსახლეობას შემის შესაძენად - 200 ლარი დაერიცხათ<sup>2</sup>, 2013-2014 წლის სასწავლო წლისთვის სამი ზარდიაანთკარელი სტუდენტის სწავლის საფასური სრულად იქნა დაფინანსებული. მიუხედავად ზემოხსენებულისა, დღემდე, ზარდიაანთკარი შიდა ქართლის კონფლიქტით დაზარალებულ

<sup>2</sup> გათბობის უზრუნველსაყოფად 200 ლარიანი დახმარება მიიღო 36-მა ოჯახმა.

სოფლებს შორის ერთ-ერთ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში მყოფ სოფლად რჩება და მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას საფრთხე ემუქრება.

2008 წლის საომარი მოქმედებების დროს, სოფელში სახლების ნაწილი დაიბომბა, ნაწილი კი დაიწვა<sup>3</sup>. თითქმის ყველა სახლი სრულად გაიძარცვა, ჭურვების სროლის შედეგად ყველა საცხოვრებლის სახურავი დაზიანებულია და ჩამოდის წყალი. სახლები საჭიროებს სერიოზულ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას: გასამაგრებელია ჩამოქცეული კედლები, დასაგებია იატაკი, ჩასასმელია ფანჯრები. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის ომის შედეგების აღმოსაფხვრელი სამუშაოები სოფელში არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით ორ ოჯახს, რომელმაც სახურავის შესაკეთებლად რამდენიმე ცალი შიფერი მიიღო. დაზიანებული სახლებისათვის კომპენსაცია 15 ათასი დოლარიც მხოლოდ იმ სამმა ოჯახებმა მიიღო, რომელთა სახლებიც მთლიანად იყო დამწვარი.

2013 წელს, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, სოფელ ზარდიაანთკარში დარჩენილ ოჯახებს თითო ოთახი გაურემონტა საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა. 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა მონიტორინგის დროს კი გამოვლინდა, რომ რეაბილიტირებულ ოთახთა უმეტესობა კვლავ შესაკეთებელია, რადგან დაზიანებული სახურავებიდან წყალი ამ ოთახებშიც აღწევს.



ჟ. გ.-ს სახლის მეორე სართული. წითელი ჯვრის მიერ მოწყობილი ოთახი პირველ სართულზეა, „ცელოფნიანი ფართის“ ქვემოთ.

სოფელში ამ დროისთვის მცხოვრები სამი სკოლის მოსწავლე სოფელ მერეთის საჯარო სკოლამდე მისასვლელად დაახლოებით ერთ კმ-ს გადის ფეხით.<sup>4</sup> დანარჩენი სასკოლო ასაკის მოსწავლეები ოჯახებთან ერთად გორის საბავშვო ბაღებში დარჩენას და ქალაქში უკეთეს და მშვიდ გარემოში განათლების მიღებას ამჯობინებენ.

<sup>3</sup> ზარდიაანთკარში 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს სამი სახლი სრულად დაიწვა და ერთი ნაწილობრივ. ნაწილობრივ დამწვარი სახლის მეპატრონეებმა, იმის გამო, რომ სახლი სრულად დამწვარი არ აღმოჩნდა, ვერ მიიღეს დამწვარი სახლების სანაცვლოდ გაცემული კომპენსაცია 15 ათასი დოლარის ოდენობით.

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ტრანსპორტირებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აფინანსებს, თუ მანძილი სოფლიდან სკოლამდე 3 კმ-ს აღემატება

სოფელში დღემდე რჩება სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ აქ სასმელი წყლის მხოლოდ ერთი ონკანია და ისიც ქართველი სამართალდამცავების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მიღმა მდებარეობს. ამ ონკანთან წყლის მოყვანა ეთნიკურად ოსი მოსახლის კერძო ინიციატივის შედეგია, რომელმაც დაახლოებით ერთ კილომეტრიანი არხი გათხარა. ზარდიაანთკარის ყველა მოსახლე სასმელ წყალს სწორედ ამ ონკანიდან იმარაგებს.



ონკანი, რომლითაც მოსახლეობა წყალს იმარაგებს

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის შემდგომ ზარდიაანთკარში რამდენჯერმე იყო სასმელი წყლისთვის ჭის გაჭრის მცდელობა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ორი ჭა გაითხარა სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მაგრამ არასაკმარისი სიღრმის გამო წყალი არ ამოვიდა. როგორც გორის მუნიციპალიტეტში განმარტავენ, ყველაზე ხელსაყრელი დრო დამატებითი სამუშაოებისათვის არის დეკემბერი, როდესაც წყლის დონე კლებულობს. მუნიციპალიტეტში პირობას დებენ, რომ წლის ბოლომდე ჭების გაღრმავება დასრულდება.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის (შემდგომში კომისია) გადაწყვეტილებით, სოფელში უკვე მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი და რეზერვუარი. დამატებით დაგეგმილია სასმელი წყლის სისტემების ქსელის მოწყობა.<sup>5</sup> შესაბამისად, სამუშაოები დღემდე არ დასრულებულა და სოფელს წყალი ჯერ არ მიეწოდება.

<sup>5</sup> რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადებით, პროექტირება დასრულებულია და უახლოეს პერიოდში დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. 26.11.2014



ახლად დამონტაჟებული ჭაბურღილი

6-წლიანი უწყლობის გამო მოსახლეობამ ვედარ შეძლო ბაღებისა და ნაკვეთების დამუშავება, ხეხილი გახმა და ადგილობრივებმა მთავარი შემოსავლის წყარო დაკარგეს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, საირიგაციო სისტემის მოწესრიგების საპროექტო სამუშაოები უკვე დასრულებულია, შესაბამისად, 2015 წლის ზაფხულის პერიოდისთვის მოეწყობა სატუმბი სადგურები და დაიწყება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ირიგაცია.

ამასობაში კი სოფლის მოსახლეობა გამხმარ ხეებს შეშად იყენებს. სოფელში დარჩენილი მოსახლეობისათვის შეშის შესაძენად 200 ლარიანი დახმარების გაცემის გადაწყვეტილება კომისიამ მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს მიიღო, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას კი ნოემბრის ბოლოს დახმარების მიმღები ოჯახების სია ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაზუსტებული.

2013 წელს კომისიამ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების გაზიფიცირების დაჩქარებაზე იმსჯელა. ამისათვის, საქართველოს მთავრობამ უკვე გამოყო საჭირო თანხები და შიდა ქართლის სოფლების უმეტესობაში დასრულებულია ქსელის გაყვანის სამუშაოები. ცენტრალური მაგისტრალი მიყვანილია სოფელ ზარდიაანთკარამდეც, თუმცა სამუშაოები ჯერ ისევ მიმდინარეობს. შესაბამისად, 2014-2015 წლის ზამთრისთვის მოსახლეობას გაზი არ მიეწოდება.

შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ზარდიაანთკარელების დიდმა ნაწილმა გორის საბავშვო ბაღში დარჩენა და იქ ახალი შესაძლებლობების ძიება არჩია. თუმცა, როგორც სახალხო დამცველის მონიტორინგის დროს გაირკვა, სოფელში დაბრუნებული ზოგიერთი მოსახლე, საომარი მოქმედებების განახლების შიშით გორის საბავშვო ბაღში ფართს არ თმობს, რადგან ომისა და ხელახალი დევნილობის შემთხვევაში სურთ ჰქონდეთ გარანტირებული თავშესაფარი.

### 3. საბავშვო ბაღში დარჩენილი მოსახლება

რთული ვითარებაა გორის პირველ საბავშვო ბაღიც, სადაც ერთდროულად ზარდიაანთკარის მოსახლეობაც ცხოვრობს და აღსაზრდელებიც სწავლობენ.

მოსახლეობისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართი სავალალო მდგომარეობაშია: მოშლილია სველი წერტილები, გაფუჭებულია იატაკი, დერეფნებს არ აქვს ფანჯრები, თითო ოჯახისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ოთახი, რომელიც არის სამზარეულოც, საძინებელიც, მისაღებიც. იმის გამო, რომ ზარდიაანთკარი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას მიეკუთვნება, საბავშვო ბაღში მცხოვრებ მოსახლეობას არ აქვს იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი და შესაბამისად, ვერც თანმდევი სოციალური პაკეტით სარგებლობს.



საპირფარეშო, რომლითაც საბავშვო ბაღში მცხოვრებლები სარგებლობენ

აღსანიშნავია, რომ ზარდიაანთკარელებს ეს სტატუსი არც 2012 წლამდე ჰქონდათ, როდესაც სოფელს საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა. სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, გორის საბავშვო ბაღში მცხოვრებმა ადამიანებმა არაერთხელ მიმართეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საიდანაც მიღებული პასუხებიდან ჩანს, რომ სამინისტრო უარს ამბობს ამ ადამიანებისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე იმ მოტივით, რომ მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ამ შემთხვევაში ზარდიაანთკარი, არ ითვლება ოკუპირებულ ტერიტორიად.<sup>6</sup>

<sup>6</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით „ძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.“

გარდა ამისა, საბავშვო ბაღს შეკედლებული მოსახლეობა ვერც სახელმწიფოს იმ პროგრამებით სარგებლობს, რომელიც კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, მაგალითად შემით უზრუნველყოფის პროგრამა. საბავშვო ბაღში შეყვანილი არ არის ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯის გადასახადს კი მოსახლეობა საკუთარი სახსრებით ფარავს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას მოსახლეობა აცხადებს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში, მზად არიან დაბრუნდნენ ზარდიაანთკარში.



საბავშვო ბაღის შესასვლელი, რომლითაც იქ მცხოვრებლები სარგებლობენ

ნათელია, რომ ზარდიაანთკარელების იძულება, დაბრუნდნენ სოფელში, პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. ამავდროულად, უპრობლემოდ არც საბავშვო ბაღში ცხოვრებაა, სადაც მუდმივი კონფლიქტია საბავშვო ბაღის დირექციასთან, რომელსაც თავის მხრივ აკისრია ვალდებულება უზრუნველყოს შესაბამისი ფართი და პირობები აღსაზრდელებისათვის.

ამ გამოწვევას თავს ვერ ართმევს გორის მერია, რომლის დაქვემდებარებაშიც არის საბავშვო ბაღი და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომლის კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება სოფელი ზარდიაანთკარი.

მიმდინარე წლის სექტემბერში, ზემოხსენებული პრობლემის მოგვარების მიზნით სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით, მოეწყო სპეციალური შეხვედრა გორის მერის მოადგილეს, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, საბავშვო ბაღის დირექტორსა და ზარდიაანთკარის წარმომადგენელს შორის. შეხვედრაზე გაირკვა, რომ არსებული მდგომარეობით, ადგილობრივი ხელისუფლება საბავშვო ბაღში დარჩენილ მოსახლეობას, ფაქტობრივად, ვერანაირ ალტერნატივას ვერ სთავაზობს. ზარდიაანთკარელების სახლების რეაბილიტაციის საკითხი მუნიციპალიტეტში არ განხილულა, ასევე არ მომხდარა მათთვის კომპენსაციის ან დახმარების სახით თანხის ან სამშენებლო მასალების შეთავაზება.



#### 4. დასკვნა და რეკომენდაციები

2012 წელს, სოფ. ზარდიაანთკარზე კონტროლის აღდგენა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოფელში მოსახლეობის დაბრუნების უზრუნველსაყოფად, თუმცა, მას შემდეგ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი არ ყოფილა, რაც გორის საბავშვო ბაღში დარჩენილ მოსახლეობას დაბრუნების მოტივაციას მისცემდა.

ზარდიაანთკარის მოსახლეობის ღირსეული დაბრუნებისა და სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ:

- მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაასრულოს სასმელი და საირიგაციო წყლის სისტემის რეაბილიტაცია ზარდიაანთკარში;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამ:
  1. დღის წესრიგში შეიტანოს საბავშვო ბაღში დროებით შესახლებული მოსახლეობის შეშით ან ბუნებრივი აირით მომარაგების და ელექტროენერჯის გადასახადის სუბსიდირების საკითხი;
  2. შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინოს ზარდიაანთკარის მოსახლეობის სახლების რეაბილიტაციის საკითხის განხილვა და დაიწყოს დაზიანებული სახლების აღდგენა;
  3. მის მიერ შემუშავებულ კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტში გათვალისწინებულ იქნას ზარდიაანთკარის მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სუბსიდირება მინიმუმ სამი წლის ვადით;
  4. მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამების განხორციელების კონკრეტული ვადების შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტმა:

- მიიღოს დროული ზომები ზამთარში ზარდიაანთკარში დარჩენილი მოსახლეობის გათბობის უზრუნველსაყოფად და უმოკლეს დროში დაასრულოს შეშის შესაძენად გამოყოფილი თანხის დარიგება;
- დროულად მიაწოდოს ზარდიაანთკარის მოსახლეობას ინფორმაცია დაგეგმილი სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
- მოხდეს ზარდიაანთკარში ჭებზე დაწყებული სამუშაოს დროული დასრულება.

### ენერგეტიკის სამინისტრომ

- მაქსიმალურად მოკლე დროში უზრუნველყოს ზარდიაანთკარში გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება;
- უზრუნველყოს საბავშვო ბაღში დროებით შესახლებული ზარდიაანთკარელი მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის გადასახადის სუბსიდირება.